

სკოლა - ლაბი

სკოლის
ორგანიზაციული
განვითარების
მოდელების
მიმოხილვა

2019

სტატია მომზადებულია კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის „სკოლა-ლაბის“ პროგრამის ფარგლებში. პროგრამის მიზანია, სკოლის ორგანიზაციული განვითარებისა და ცვლილებების შესახებ ცოდნის კონსოლოდაცია , ახალი ცოდნის გენერირება და შერჩეული მიდგომების პილოტირება.

ავტორი: ანა მენაღარიშვილი

სარჩევი

კვლევის შემსწავლელი საზოგადოება.....	4
სამეცნიერო/კვლევითი სასკოლო ქსელი	7
კვლევისა და ადგილობრივი განათლების ქსელები.....	9

კვლევის შემსწავლელი საზოგადოება

გამოწვევა: მეცნიერებაზე და მტკიცებულებებზე დაფუძნებული სწავლების ტექნიკების ნაკლებობა.

ვინ/რომელი ორგანიზაცია მუშაობდა მის განვითარებაზე: ინგლისში დაწყებითი სკოლები მუშაობდნენ University College London (UCL)-თან ერთად ორწლიან საპილოტე პროექტზე (2014-2016 აკადემიური წელი), რომლის მიზანი იყო სკოლებში კვლევის გამოყენების გაზრდა. საპილოტე პროექტი ფინანსდებოდა განათლების პროგრამის ფონდის (EEF) მიერ. საპილოტე პროექტის ფარგლებში ბენეფიციარი სკოლის რაოდენობა იყო 60, ხოლო საკონტროლო სკოლების რაოდენობა - 59. საბოლოოდ პროექტში 5462 მოსწავლე მონაწილეობდა.

მიზანი: კვლევის შემსწავლელი საზოგადოების პროგრამა წარმოადგენდა ჩარევას, რომლის მიზანი იყო მასწავლებლების ცნობიერების ამაღლება საგანმანათლებლო კვლევის გამოყენების მნიშვნელობაზე სამუშაო პროცესში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კვლევის შემსწავლელი საზოგადოების პროექტი ეხმარება სკოლებს გახდნენ უფრო ინფორმირებულები კვლევის პრაქტიკაში გამოყენების მიმართ. ამისათვის მასწავლებლები უნდა იყვნენ ჩართული როგორც კვლევის, ასევე მონაცემთა ანალიზის პროცესში. ამასთანავე, მასწავლებლებმა უნდა აღმოაჩინონ, თუ როგორ შეიძლება სკოლა გახდეს უფრო გახსნილი მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის დანერგვისთვის; როგორ იქცეს სკოლაში კვლევის გამოყენება კულტურული ნორმად; როგორ შეუძლია სკოლას მხარი დაუჭიროს ეფექტური სწავლებისთვის კვლევების გამოყენებას; მოიძიონ და გააზიარონ საუკეთესო პრაქტიკა კვლევისთვის საჭირო სტრუქტურების, სისტემების და რესურსებისათვის. ეს ყველაფერი ემსახურება იმას, რომ საბოლოოდ მოსწავლეთა შედეგები გაუმჯობესდეს.

რა არის მოდელის ძირითადი განმასხვავებელი მახასიათებლები და როგორია მოდელის განხორციელების პროცესი: ჩარევისას პირველ წელს ორი ლიდერი მასწავლებელი თითოეული სკოლიდან სხვა ოთხი-ხუთი

სკოლის წარმომადგენელთან/პედაგოგთან ერთად ესწრებოდა კვლევის შემსწავლელი საზოგადოების დაახლოებით ოთხ ჯგუფურ ვორკშოფს. ვორკშოფებს ატარებდნენ UCL-ის განათლების ინსტიტუტის მეცნიერები სკოლების ინტერესებიდან გამომდინარე წინასწარგანსაზღვრულ თემებზე (მაგალითად, წიგნიერების გაზრდა ან მათემატიკური უნარების გაზრდა). რა თქმა უნდა, ვორკშოფის დროს ამ თემების დაკავშირება ხდებოდა მეცნიერებასთან და კვლევებთან. ვორკშოფის შემდეგ მასწავლებლებს მოეთხოვებოდათ შეემუშავებინათ, დაენერგათ და შეეფასებინათ სკოლები იმ გაუმჯობესების სტრატეგიების მიხედვით, რომელსაც ვორკშოფის განმავლობაში სწავლობდნენ. მათ ასევე, მხარი უნდა დაეჭირათ სხვა მასწავლებლებისთვის და აემალლებინათ ცნობიერება კვლევების გამოყენების საჭიროების შესახებ. სესიებს შორის სტრატეგიების დანერგვა და მონიტორინგი იმისთვის ხდებოდა, რომ მომდევნო სესიაზე ემსჯელათ, თუ რამ იმუშავა კარგად და ასე შეენარჩუნებინათ ინტერვენციის მდგრადობა. ჩარევის მოდელის განხორციელების მეორე წელს კვლავ მდგრადობის შენარჩუნების მიზნით მონაწილე სკოლები თვითონ წარმართავდნენ სესიებს დამხმარე ფასილიტატორის მეშვეობით.

მოდელის მონიტორინგის და შეფასების სტრატეგია: შეფასების სტრატეგიას წარმოადგენდა ჩარევის ეფექტურობის შეფასება. შეფასების პროცესი მოიცავდა ინტერვიუებს სკოლის პერსონალთან, კითხვარებს ლიდერ მასწავლებლებთან და სასწავლო კვლევითი საზოგადოებების ვორკშოფებზე დასწრებას.

შეფასების ძირითადი მიგნებებია:

1. არ არსებობს მტკიცებულება, რომ კვლევითი სასწავლო საზოგადოებები მეორე საკვანძო ეტაპზე აუმჯობესებს ბავშვების კითხვის შედეგებს;
2. ჩარევამ მასწავლებლების დამოკიდებულებაზე კვლევისადმი დადებითად იმოქმედა. თუმცა, კვლევამ ასევე აჩვენა ისიც, რომ დამოკიდებულებების ცვლილება შეიძლება გამოწვეული იყოს მასწავლებლების განათლებისა და მათი პოზიციის ხარისხზე;

3. კვლევამ ასევე აჩვენა მცირე დადებითი კავშირი მასწავლებლის კვლევისადმი დამოკიდებულებასა და სტუდენტის აკადემიურ მოსწრებას შორის. თუმცა, ეს დადებითი კორელაცია სულაც არაა კავშირში ამ კონკრეტულ ჩარევასთან;
4. ლიდერი მასწავლებლები, რომლებიც ჩართულები იყვნენ ჩარევის დანერგვის პროცესში და ცდილობდნენ კვლევა სკოლის კულტურისთვის ორგანულად ექციათ, არ იცვლებოდნენ ჩარევის პროცესში. შესაბამისად, სკოლის პერსონალის სხვა წარმომადგენლების ნაკლები ჩართულობა ართულებდა განხორციელების პროცესს;
5. ზოგიერთი მასწავლებელი თვლიდა, რომ დამოკიდებულებების ცვლილებას და პროგრამაში ჩართულობას შედეგის მოსატანად წლები სჭირდება. მომავალი კვლევები უკეთ გვიჩვენებს ხანგრძლივადიან ეფექტს.

<https://educationendowmentfoundation.org.uk/projects-and-evaluation/projects/research-learning-communities/>

https://educationendowmentfoundation.org.uk/public/files/Projects/Evaluation_Reports/Research_Learning_Communities.pdf

სამეცნიერო/კვლევითი სასკოლო ქსელი



გამონწვევა: მეცნიერებაზე და მტკიცებულებებზე დაფუძნებული სწავლების ტექნიკების ნაკლებობა.

ვინ/რომელი ორგანიზაცია მუშაობდა მის განვითარებაზე: სამეცნიერო/კვლევითი სასკოლო ქსელი შეიქმნა განათლების პროგრამის ფონდს (EEF) და ეფექტური განათლების ინსტიტუტს (IEE) შორის თანამშრომლობით; დღესდღეობით ინგლისში ასეთი 23 სკოლა არსებობს.

მიზანი: სამეცნიერო/კვლევითი სკოლები მიზნად ისახავენ სკოლებში მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის გამოყენებას. სამეცნიერო/კვლევითი სკოლები არის სკოლის და აკადემიური/სამეცნიერო კვლევის დამაკავშირებელი რგოლი და ერთგვარად ახალ სიცოცხლეს სძენს მეცნიერებაზე დაფუძნებული შედეგების გამოყენებას საკლასო გარემოში. ქსელის საშუალებით სკოლები ერთმანეთს გაუზიარებენ იმას, თუ რა იციან ზოგადად კვლევაზე და კვლევის შედეგების პრაქტიკაში გამოყენებაზე. ასევე, დაეხმარებიან თავიანთ რეგიონში არსებულ სკოლებს უკეთ გაიაზრონ კვლევისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული სწავლების მნიშვნელობა და გაუზიარებენ თავიანთ პრაქტიკას, რათა მიაღწიონ რეალურ ცვლილებებს საკლასო დონეზე.

როგორ გააკეთებენ ამას:

- ქსელში ჩართულ სკოლებს წაახალისებენ გამოიყენონ მტკიცებულებაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდები და პროგრამები და ინფორმაცია გააზიარონ რეგულარული ურთიერთობისა და ღონისძიებების მეშვეობით;
- უფროსი ლიდერებისა და მასწავლებლების ტრენინგებით და პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელი პროგრამებით უზრუნველყოფა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შექმნან საუკეთესო საკლასო გარემო მტკიცებულებებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის გამოყენებით;

- სკოლების დახმარება, რათა შეიმუშაონ სწავლისა და სწავლების პროცესის გაუმჯობესების ინოვაციური გზები და იმ ექსპერტიზის განვითარება, რომელიც მასწავლებლებს საშუალებას მისცემთ, შეაფასონ საკუთარი მუშაობა.

გარდა ამისა, პროგრამის ფარგლებში მასწავლებლები ქმნიან ძალიან საინტერესო ბლოგებს სხვადასხვა აქტუალურ თემაზე, ბლოგ-პოსტები ზიარდება ოფიციალურ საიტზე.

ასევე, პროგრამის ფარგლებში მასწავლებლების და მოსწავლეების კვლევითი უნარების გაძლიერების მიზნით, საპილოტედ გაიცემა ინოვაციებთან დაკავშირებული გრანტები. გრანტებს გასცემს ეფექტური განათლების ინსტიტუტი (IEE). პირველი გრანტები 2017 წელს გაიცა და დღეისათვის გაცემულია სულ 30 გრანტი. გრანტები სასკოლო ბაზაზე გაიცემა სხვადასხვა მიმართულებით: იქნება ეს კინო-კლუბის ჩამოყალიბება, რათა გავზარდოთ მე-5 კლასელი ბავშვების შემოქმედებითი წერის უნარები, თუ აუდიო უკუკავშირის გამოყენება 12 წლის ბავშვებთან. სკოლები ასევე, გამოთქვამენ ინიციატივას შეაფასონ უკვე განხორციელებული ინიციატივები. შეფასებების გამოქვეყნება უახლოეს მომავალში იგეგმება.

მოდელის მონიტორინგი რამდენიმე დონეზე ხორციელდება და საბოლოოდ 2020 წელს დასრულდება და გამოქვეყნდება.

<https://researchschool.org.uk/>

<https://educationendowmentfoundation.org.uk/scaling-up-evidence/research-schools/>

კვლევისა და ადგილობრივი განათლების ქსელები

კვლევისა და ადგილობრივი განათლების ქსელები წარმოადგენს მოხალისეობრივ ქსელებს, რომლებიც ბრიტანულ კოლუმბიაში სკოლების ბაზაზე დაფუძნდა.

კვლევაზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესში ხორციელდება ე.წ. კვლევის სპირალების მეშვეობით. ქსელების მიზანია:

- თითოეული მოსწავლე უმკლავდება ბარიერებს ღირსეულად, მიზანდასახულად და არჩევნის შესაძლებლობით;
- თითოეული მოსწავლე, რომელიც ქსელშია გაერთიანებული, ტოვებს ქსელს უფრო ცნობისმოყვარე, ვიდრე ის მანამდე იყო;
- ყველა მოსწავლე აცნობიერებს და პატივს სცემს მკვიდრი მოსახლეობის ცოდნას;
- კოლექტიური მცდელობების საშუალებით ვამცირებთ რასიზმს სკოლებში.

სკოლები კვლევის ე.წ. სპირალში ჩაბმას იწყებენ სასწავლო წლის დასაწყისიდან და სასწავლო წლის დასასრულს ისინი წარადგენენ კვლევის კონკრეტულ მაგალითებს. ქსელები ერთმანეთს უზიარებენ რესურსებს, კონკრეტულ მაგალითებსა და შთაბეჭდილებებს. სკოლების ქსელებს მხარს უჭერენ საგანმანათლებლო ლიდერები ბრიტანულ კოლუმბიაში, ავსტრალიასა და სხვა ადგილებში საერთაშორისო დონეზე, რათა მოსწავლეთა შედეგები ყველგან გაუმჯობესდეს.

ისტორია: ქსელი დაარსდა 2000 წელს და ფინანსდებოდა განათლების სამინისტროს მიერ. ქსელების მიზანს წარმოადგენდა გაუმჯობესებინა განათლების ხარისხი და თანასწორობის შესაძლებლობა კვლევისა და ჯგუფური მუშაობის შედეგად. ასევე, კონსულტაციების მეშვეობით. 2010 წელს მკვიდრი მოსახლეობის გაძლიერების სასკოლო ქსელები სპეციალურად

იმისთვის შეიქმნა, რომ მკვიდრი მოსახლეობის მოსწავლეების შედეგების გაუმჯობესებაზე ემუშავა. ისინი ცდილობდნენ იმ გამოწვევებზე და პრობლემებზე მოეხდინათ ფოკუსი, რომელიც მკვიდრ მოსახლეობას და შესაბამისად, მოსწავლეებს აწუხებდათ.

კვლევის სპირალები: კვლევის სპირალები ეხმარება ქსელში გაერთიანებულ სკოლებს მტკიცებულებაზე დაფუძნებული სწავლა-სწავლების პრინციპების მიღებაში, რომელიც მიმართულია იმისკენ, რომ ზოგადად განათლების სისტემა უკეთ იყოს აღჭურვილი მაღალი ხარისხის განათლების გაცემის შესაძლებლობებით.

კვლევის სპირალებს ექვსი საფეხური აქვს: სკანირება, ფოკუსირება, ინტუიციის განვითარება, ახალი პროფესიონალური სწავლება, ქმედება და იმის შემოწმება, რომ ჩატარებულმა სამუშაომ საკმაოდ დიდი სხვაობა მოგვცა. თითოეულ საფეხურზე ისმის სამი ძირითადი კითხვა: რა ხდება მოსწავლეებთან? როგორ ვიგებთ თუ რა ხდება? რატომ აქვს ამას მნიშვნელობა?

სპირალის ძირითადი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ მოვესმინოთ მოსწავლეებს და მათგან მიღებული ინფორმაცია ავსახოთ სწავლების პრაქტიკაში. სპირალი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც ახლის ძიების დაუსრულებელი ციკლი. ახალი ცოდნა ქმნის ახალ კითხვებს, ხოლო ახალი კითხვები - ახალ ცოდნას.

ადგილობრივი განათლება: ადგილობრივი განათლება ყველასთვისაა. მისი მიზანია, რომ დამარცხდეს რასიზმი სკოლებში და განათლება ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდეს.

<http://www.noii.ca/about-us/>